“ნეუ - ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტის” სამართლის სკოლა აცხადებს ღია კონკურსს სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე

- პროფესორი - 3;
- ასოცირებული პროფესორი - 5;
- ასისტენტ - პროფესორი - 2;
- ასისტენტი - 3.

საკონკურსო კრიტერიუმები აკადემიური ნიშნით:

პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად (აკადემიური ნიშნით):

განათლება: დოქტორი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი.

გამოცდილება: სამეცნიერო - პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება.

უნარები: კვლევითი უნარები; პედაგოგიური უნარები; საკომუნიკაციო უნარები.

ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად (აკადემიური ნიშნით):

განათლება: დოქტორი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი.

გამოცდილება: სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

უნარები: კვლევითი უნარები; პედაგოგიური უნარები; საკომუნიკაციო უნარები.

ასისტენტ - პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად (აკადემიური ნიშნით):

განათლება: დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი.

უნარები: კვლევითი უნარები; პედაგოგიური უნარები; საკომუნიკაციო უნარები.

ასისტენტის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად (აკადემიური ნიშნით):

განათლება: დოქტორანტი.

უნარები: კვლევითი უნარები; პედაგოგიური უნარები; საკომუნიკაციო უნარები.

წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

- განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე;
- კონკურსანტის CV, რომელშიც უნდა აისახოს ინფორმაცია კონკურსანტის მიერ ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომ (ებ)ის, ბოლო 5 წლის განმავლობაში მიღებული სტიპენდია-გრანტებისა და ბოლო 5 წლის განმავლობაში სამეცნიერო კონფერენციებსა და პროფესიული განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობის შესახებ;
- შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ასლები. ასევე უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომების ასლები;
- სამეცნიერო შრომების ჩამონათვალი (ბოლო 5 წლის განმავლობაში, წლების მითითებით);
- შესაბამის სფეროში სამეცნიერო - პედაგოგიური მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ელექტრონული და ნაბეჭდი ფორმით მის მიერ არჩეული სასწავლო კურსის სილაბუსი (სილაბუსები);
- პირადობის მოწმობის ასლი;
- 2 ცალი ფოტო - სურათი 3X4-ზე, ელექტრონულად CD დისკზე;
- ბოლო პუბლიკაციის, ნაშრომის, წიგნის, მონოგრაფიის ეგზემპლარები ან ასლები;
- სხვა ინფორმაცია.

კონკურსის ჩატარების ვადა:

1. კონკურსი გამოცხადდეს 2026 წლის 15 იანვარს;
2. აკადემიური თანამდებობის დაკავების მსურველთა საბუთების მიღება იწარმოებს 2026 წლის 16 თებერვლიდან 27 თებერვლის ჩათვლით;
3. კონკურსის პირველი ეტაპი (საბუთების გადარჩევა) - 2026 წლის 4 მარტი;
4. კონკურსის მეორე ეტაპი (საკონკურსო კომისიასთან გასაუბრება) - 2026 წლის 10 მარტი (კონკურსანტებს გასაუბრების დრო ეცნობებათ განცხადებაში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე);

5. კონკურსის შედეგები გამოცხადდება 2026 წლის 13 მარტს.

საკონკურსო დოკუმენტაცია მიიღება მხოლოდ ადგილზე. ქ. თბილისი, ჯურხა ნადირაძის ქ. N 46, ოთახი N 12 11^{00} საათიდან 16^{00} საათამდე (შესვენების გარეშე).

საკონტაქტო რეკვიზიტები:

ქ. თბილისი, ჯურხა ნადირაძის ქ. N46. ტელ: 032 218 52 52

vacancy@neu.edu.ge